საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №9

ბათუმი „31" მარტი 2023 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესი (შემდგომში - შეფასების წესი) თანახმად N1 დანართისა.

2. დამტკიცდეს წლიური შეფასების ოქმი, თანახმად N2 დანართისა.

3. დამტკიცდეს ფუნქციებისა და კომპეტენციების გაცნობის ოქმი, თანახმად N3 დანართისა.

4. დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული შეფასების წესის გაცნობა მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს მანანა ჯორბენაძეს.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2019 წლის 31 იანვარის N03 ბრძანება.

7. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

8. ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე